ახალი სიციოკულტურული გარემო და კულტურული მეხსიერება: აჭარიდან ჩასახლებულთა ყოველდღიური ცხოვრება წალკაში

ანა ბაგრატიონი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი; ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
ელ-ფოსტა: Anabagrationi.1131@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0003-5319-7775

აბსტრაქტი. სტატია იკვლევს აჭარიდან წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებულთა ყოველდღიურ ცხოვრებას, კულტურული მეხსიერებისა და ახალი სიციოკულტურული გარემოს ურთიერთქმედების კონტექსტში. კვლევა ეფუძნება 2025 წლის აგვისტოში ჩატარებულ ინდივიდუალურ ეთნოლოგიურ ექსპედიციას, რომლის ფარგლებში განხორციელდა 20 სიღრმისეული ინტერვიუ სხვადასხვა სოფელში მცხოვრებ ადამიანებთან. ანალიზი ეყრდნობა მორის ჰალბვაქსის კოლექტიური მეხსიერების კონცეფციას და ადაპტაციის თეორიებს. კვლევამ აჩვენა, რომ კულტურული მეხსიერება ახალ გარემოში არა მხოლოდ ინარჩუნებს ტრადიციებს (რელიგიური პრაქტიკა, ოჯახური წესჩვეულებები, სამზარეულო), არამედ ტრანსფორმირდება ინტერკულტურული ურთიერთობების პირობებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწის საკუთრების საკითხებს, ეკონომიკურ სტრატეგიებსა და შერეულ ქორწინებებს. გამოვლინდა თაობათაშორისი განსხვავებები - უფროსი თაობა ძლიერ არის მიბმული სოფლის მეურნეობასა და მიწასთან, მაშინ როდესაც ახალგაზრდები ურბანულ სივრცეს უკავშირებენ საკუთარ მომავალს. სტატია აჩვენებს, რომ წალკაში ჩამოყალიბებულია ჰიბრიდული კულტურული სივრცე, სადაც აჭარული კულტურული მეხსიერება თანაარსებობს და ურთიერთქმედებს სვანურ, ბერძნულ და სომხურ სოციალურ პრაქტიკებთან.

საკვანძო სიტყვები: კულტურული მეხსიერება; ეკომიგრაცია; აჭარლები; ინტერკულტურული ურთიერთობები; ადაპტაცია.

* * *

შესავალი. აჭარიდან წალკაში ჩასახლება ისტორიულად დაკავშირებულია ეკომიგრაციის პროცესებთან, განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან მოყოლებული. გადასახლების ძირითადი მიზეზები იყო ბუნებრივი კატასტროფები, მიწის დეფიციტი და სოციალური პირობების გაუარესება. ქვემო ქართლის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი, წალკა, როგორც მრავალეთნიკური რეგიონი, წარმოადგენდა განსხვავებულ კულტურულ გარემოს, სადაც ისტორიულად თანაარსებობდნენ ბერძნები, სომხები, სვანები და სხვა ჯგუფები.

1990-იანი წლებიდან გახშირებული მეწყერები, ნიადაგის დეგრადაცია და ინფრასტრუქტურული ჩამოშლა აჭარის მთიან სოფლებში ცხოვრების სტაბილურობას მნიშვნელოვნად არყევდა (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.,, 2007) (ფუტკარაძე თ., 2006).

აღნიშნული ტალღა შეიძლება შეფასდეს როგორც იძულებითი ეკომიგრაცია, რომლის დროსაც გადაადგილება უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიად იქცა. მოსახლეობის განსახლება

ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში განხორციელდა რეგიონებში, რომლებიც ისტორიულად მრავალეთნიკურობით ხასიათდება (ლაილი ჯ., 2012).

საწყის ეტაპზე გადაადგილება განპირობებული იყო ბუნებრივი საფრთხეებით, თუმცა შემდგომ წლებში მას სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებიც დაემატა. 2000-იანი წლებიდან მიგრაციის ახალ ტალღას საფუძვლად დაედო სოციალური პრობლემები და მიწის გამოყენების შესაძლებლობები აჭარის მთიან ზონებში (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.,, 2007).

კვლევის პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ ტრანსფორმირდება კულტურული მეხსიერება ახალ გარემოში და როგორ ხდება ადაპტაცია მრავალეთნიკურ სივრცეში. ჩვენი კვლევის მიზანია განისაზღვროს, რა როლი აქვს ყოველდღიურ პრაქტიკებს - რელიგიურ დღესასწაულებს, სამზარეულოს, მიწათმოქმედებას, სოციალურ ურთიერთობებს - კულტურული იდენტობის შენარჩუნებასა და გარდაქმნაში.

კულტურული მეხსიერების თეორიული საფუძველი ეფუძნება ჰალბვაქსის მოსაზრებას, რომლის მიხედვით მეხსიერება სოციალური ჩარჩოებით არის განპირობებული. ადაპტაციის კონცეფციები საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ კულტურული ცვლილება, როგორც დინამიკური პროცესი.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას. 2025 წლის აგვისტოში ჩავატარეთ 5-დღიანი ინდივიდუალური ეთნოგრაფიული ექსპედიცია წალკის მუნიციპალიტეტში. ჩატარდა 20 ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ სხვადასხვა სოფელში მცხოვრებ ადამიანებთან, რომელთა ჩამოსვლის მიზეზები იყო ეკომიგრაცია, მცირემიწიანობა, ოჯახის გაყოფა ან ნათესავებთან სიახლოვე.

გამოყენებული იყო:

- სიღრმისეული ინტერვიუ;
- მონაწილე დაკვირვება;
- თემატური ანალიზი.

მონაცემები დამუშავდა თემატური კოდირების მეთოდით, რაც შესაძლებელს ხდიდა განმეორებადი მოტივების იდენტიფიცირებას: მიწა, საკუთრება, რელიგია, ეკონომიკა, ინტერკულტურული ურთიერთობები, თაობათა განსხვავებები.

მსჯელობა. ჰალბვაქსის მიხედვით, მეხსიერება ყოველთვის სოციალურ ჩარჩოებში ყალიბდება (Halbwachs., 1992). წალკაში ჩასახლებული აჭარლების შემთხვევაში ადგილი იცვლება, მაგრამ მეხსიერების მატარებელი სოციალური კავშირები - ოჯახი, ნათესაობა, რელიგიური ჯგუფი - ინარჩუნებს ფუნქციონირებას. თუმცა ეს ჩარჩოები ახალ გარემოში გადალაგებას განიცდის.

მთხრობელები ხშირად აღნიშნავენ, რომ „ადრე აქ დაფუძნებულად ვერ ვგრძნობდით თავს“ (საველე მასალები, 2025). ეს ფრაზა მიანიშნებს სივრცის სიმბოლურ მიუღებლობაზე. სასაფლაოს არარსებობა ადრეულ წლებში იყო დროებითობის განცდის ძლიერი ნიშანი. მოგვიანებით სახელმწიფოს მიერ მიწის გამოყოფა და ადგილობრივი დაკრძალვების დაწყება წარმოადგენს სიმბოლურ გარდატეხას - სივრცე „საკუთარად“ გარდაიქმნება.

მართლმადიდებლურ თემებში მუსლიმი აჭარლების მიმართ სკეპტიციზმი არსებობდა, რაც სოციალურ ინტეგრაციას აფერხებდა. მსგავსი დაძაბულობა ფართო საზოგადოებრივ კონტექსტშიც აისახა (იველაშვილი., 2019). თუმცა ეს საზღვრები სტატიკური არ ყოფილა. ერთ-ერთი მთხრობელი აღნიშნავს: „ბერძნებთანაც დღემდე ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს... კარგი ურთიერთობები გვაქვს სვანებთან, ჩემი გოგოს მეჯვარეც სვანი იყო“ (საველე მასალები, 2025). ეს მონაკვეთი მიუთითებს საზღვრების ტრანსფორმაციაზე - თავდაპირველი დისტანცირება თანდათან თანამშრომლობით ურთიერთობად გადაიქცა.

თანაცხოვრების საწყის ეტაპზე იკვეთებოდა დაძაბულობა: „ახალი ჩამოსულები ვიყავით... ფეხბურთში რომ მოვუგეთ სომხებს... ეს ვერ აიტანეს სომხებმა" (საველე მასალები, 2025), თუმცა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა თანამშრომლობა:

„ზოგი აჭარელი მასწავლებლად დადის სომხებთან და ქართულს ასწავლის" (საველე მასალები, 2025).

ფეხბურთის ინციდენტი სომხებთან ადრეულ ეტაპზე გამოხატავდა „საზღვრის ხაზის" არსებობას. დროთა განმავლობაში ეს საზღვრები შერბილდა - თანამშრომლობა, სამუშაო ურთიერთობები და ენის სწავლება გახდა ურთიერთგაგების საფუძველი.

ეს პროცესი აჩვენებს, რომ ინტერკულტურული ურთიერთობები სტატიკური არ არის; ისინი განიცდიან ტრანსფორმაციას დროის, კომუნიკაციისა და საერთო ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე.

მთხრობელები აღწერენ გარემოსთან დაკავშირებულ ადაპტაციას:

„აქ ყველაფერი მოდის... მსხალი, ვაშლი, ქლიავი... ისეთი მსხალია, ზამთარში თავისით მწიფდება... ჩემს ბავშვობაში მაგარას უძახდნენ" (საველე მასალები, 2025). გარდა ამისა, ისინი აღნიშნავენ კულტურული ცოდნის გაცვლის ფაქტს: „ბერძნებმა ჩვენგან დაინახეს რომ ლობიო მოდიოდა" (საველე მასალები, 2025). ეს მაგალითები აჩვენებს, როგორ იკვეთება გარემოსთან ადაპტაცია კულტურული მეხსიერების შემადგენელ ნაწილად, რომელიც თაობებს გადაეცემა. ეს მხარს უჭერს თეორიულ პოზიციას, რომ მეხსიერება სოციალურად კონსტრუირებადი და გეოგრაფიულად ჩარჩოებით განპირობებულია (Halbwachs., 1992).

წალკაში მიწის რეგისტრაციის საკითხი ქმნიდა გაურკვევლობის განცდას. ეკომიგრანტის სტატუსი და საკუთრების არარსებობა იწვევს დროებითობის განცდას, რაც გავლენას ახდენს იდენტობის ფორმირებაზე (ლაილი χ., 2012).

ერთ-ერთი მთხრობელი სოფ. სამებადან აღნიშნავს საკუთრების სირთულეებს: „ზოგიერთი ბერძენის სახლში ცხოვრობს... ჩემმა დამ გაარემონტა და ბერძენმა გამოაგდო სახლიდან."„ასეთი ამბავიც იყო: მივიდა აჭარელი და ბერძენის მიწაზე ჩადგა სახლი... უთხრა სახლი შენია, მაგრამ მიწა ქართულიაო" (საველე მასალები, 2025).

ეკონომიკური რეალობა ორმაგია: ერთი მხრივ, მიწა ნაყოფიერია („აქ ყველაფერი მოდის"), მეორე მხრივ, ბაზრის მექანიზმები ამცირებს შრომის ღირებულებას („აზრი არ აქვს დათესვას, რადგან ფასი არ აქვს") (საველე მასალები, 2025). რაც ასახავს ლოკალური სოფლის მეურნეობის დამოკიდებულებას გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე.

ბერის ადაპტაციის მოდელის მიხედვით, ეკონომიკური სტაბილურობა არის წარმატებული ინტეგრაციის ერთ-ერთი ფაქტორი. თუმცა აქ ინტეგრაცია სრულად ასიმილაციური არ არის - უფრო შეიმჩნევა სეპარაციულ-ინტეგრაციული მოდელი: კულტურული იდენტობა შენარჩუნებულია, მაგრამ ეკონომიკური სტრატეგიები ლოკალურ გარემოსთანაა მორგებული (Berry, 1997).

მთხრობელთა მონათხრობები აჩვენებს, რომ რელიგიური პრაქტიკა ახალ გარემოში არა მხოლოდ მეხსიერების გადაცემის ფორმაა, არამედ ინტეგრაციის ინსტრუმენტი ხდება. ერთ-ერთი მთხრობელი აღნიშნავს: „ჩვენ აჭარიდან აღვნიშნავთ ბაირამს და ერთმანეთს ვულოცავთ, ქრისტიანებიც აცხობენ პასკას და ჩვენ გვაწვდიან" - ამ მაგალითზე ჩანს, როგორ გარდაიქმნება რელიგიური განსხვავება ყოველდღიურ პრაქტიკებში დიალოგის და თანაცხოვრების პლატფორმად. სივრცითი თანაარსებობა („მეჩეთი გვაქვს წალკაში, ირგვლივ ეკლესიებიც არი") ასევე აჩვენებს, რომ სიმბოლური მეხსიერება და რიტუალები უზრუნველყოფენ კულტურული იდენტობის შენარჩუნებას მრავალეთნიკურ კონტექსტში. ამავე დროს, ისლამური და ქრისტიანული სიმბოლური სივრცეების თანაარსებობა წარმოადგენს ყოველდღიური სეკულარული პრაქტიკების მაგალითს, სადაც განსხვავება ნორმალიზებულია.

წალკაში ჩასახლებული აჭარის მოსახლეობა ნელ-ნელა ერგებოდა ადგილობრივ გარემოს, შეინარჩუნეს თავიანთი ყოფითი ელემენტები, ამავე დროს მიიღეს ახალი ცოდნა. კულინარიული პრაქტიკა წარმოადგენს ყოველდღიურ, არაფორმალურ ინტეგრაციის ფორმას. ერთ-ერთი მთხრობელი პირდაპირ აღნიშნავს: „კუბდარის მომზადება აქ ვისწავლე... სვანებმა ჩვენგან ისწავლეს აჭარული კერძები.... აქ გავიგე რა იყო "ღიმის მწნილი", ეს არის ბერძნული, მაგას ეძახიან "დილყას" (საველე მასალები, 2025).

თხრობითი ანალიზი აჩვენებს ცოდნის ორმხრივ გაცვლას: სვანები სწავლობენ აჭარულ კერძებს, აჭარლები - სვანურ კულინარიას. ეს პროცესი ჰიბრიდულ კულტურულ სივრცეს ქმნის, სადაც მეხსიერება ინარჩუნებს წარსულის სიმბოლურ ელემენტებს, მაგრამ თანდართულია ადაპტაციასთან. ეს პროცესი მიუთითებს, რომ ინტეგრაცია არ არის ერთმხრივი. კულტურული მეხსიერება არა მხოლოდ ინარჩუნებს, არამედ ქმნის ახალ პრაქტიკებს.

შერეული ქორწინების მაგალითები ადასტურებს ინტერკულტურული ურთიერთობების გაღრმავებას: „აქ აჭარელი სვანზეც გათხოვილა და ბერძენზეც... აქ ცხოვრობს გოგო, რომელიც 25 წელია ბერძენის ცოლია" (საველე მასალები, 2025). ქორწინება წარმოადგენს საზოგადოებრივად ინსტიტუციონალიზებულ მექანიზმს, რომელიც ეთნიკური საზღვრების მოდუნებას უწყობს ხელს (Barth, 1969). ქორწილების ფორმატში ცვლილება („ახლა ქორწილებს სარიტუალო დარბაზებში ვიხდით") ასახავს კულტურული ტრანსფორმაციის პროცესს - ადაპტაცია ახალ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან.

მთხრობელები აღნიშნავენ:

„3 წელი ვგეგმავდით დარჩენას, ეს 3 გახდა 20 წელი." „მე აქ ვრჩები, არსად მივდივარ, წალკა ვითარდება..." (საველე მასალები, 2025). ეს ფაქტები ხაზს უსვამს თაობათა დინამიკას - უფროსი თაობა ძლიერ არის მიბმული მიწასთან, ახალგაზრდა თაობა ურბანულ სივრცეს უკავშირებს მომავალს.

ახალგაზრდები განათლებას და მომავალს ქალაქს უკავშირებენ, მაშინ როდესაც უფროსი თაობა მიწასთან არის იდენტიფიცირებული. თუ უფროსი თაობისთვის წალკა გახდა „ახალი სახლი", ახალგაზრდებისთვის ის შესაძლოა იყოს სეზონური სივრცე. ეს აჩვენებს, რომ კულტურული მეხსიერება დინამიკურია და თაობათა ცვლილებასთან ერთად იცვლის გეოგრაფიულ ფოკუსს.

მთხრობელთა მონათხრობები ცხადყოფს, რომ ინტეგრაცია არ შემოიფარგლება ინსტიტუციური პოლიტიკით. იგი ყოველდღიურ პრაქტიკებში ვლინდება - შრომით თანამშრომლობაში, სამეზობლო ურთიერთობებში, ბავშვების მეგობრობაში, რიტუალებსა და ოჯახურ ტრადიციებში.

ერთის მხრივ, შეინიშნება იდენტობის დაცვის სურვილი - რელიგიური პრაქტიკების, ოჯახური წეს-ჩვეულებებისა და შიდა სოლიდარობის გზით; მეორეს მხრივ კი - ახალ გარემოსთან თანაცხოვრების უნარი, რაც კულტურული გაცვლისა და ურთიერთპატივისცემის ფორმებს აყალიბებს.

დასკვნა. კვლევის შედეგები გვაძლევს რამდენიმე ძირითადი დასკვნის გაკეთების საშუალებას:

1. კულტურული მეხსიერება დინამიკური პროცესია - იგი ახალ სივრცეში ტრანსფორმირდება, თუმცა არ კარგავს ძირითად სიმბოლურ სტრუქტურებს (რელიგია, ოჯახი, კულინარია).
2. ტერიტორიის სიმბოლური ათვისება კრიტიკულია დაფუძნებისთვის - სასაფლაოს გაჩენა, მიწის დამუშავება და საკუთრების საკითხი ქმნის „საკუთარი სივრცის" განცდას.
3. ინტერკულტურული ურთიერთობები ქმნის ჰიბრიდულ კულტურულ ფორმებს - კულინარია, ქორწინებები და დღესასწაულები მიუთითებს კულტურულ მოლაპარაკებაზე.
4. ეკონომიკური გაურკვევლობა აფერხებს სრულ ინტეგრაციას, თუმცა სოციალური კავშირები ამცირებს ამ რისკს.

1. თაობათაშორისი განსხვავებები მიუთითებს კულტურული მეხსიერების ტრანსფორმაციის მომავალ მიმართულებაზე, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ კვლევის გაგრძელება აუცილებელია.

5. წალკა შეიძლება განვიხილოთ როგორც პოსტმიგრაციული კულტურული სივრცე, სადაც იდენტობა ყალიბდება მოლაპარაკებისა და ადაპტაციის მუდმივი გადალაგების გზით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

იველაშვილი., თ. (2019). *რელიგიური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში.* თბილისი: "უნივერსალი".

ლაილი ჯ. (2012). *ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში, განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები.* სამუშაო მოხსენება #53, ECMI.

(2025). საველე მასალები.

ტრიერი ტ, ტურაშვილი მ., (2007). *ეკოლოგიური მიზეზებით ადგილმონაცვლე პირთა განსახლება, არსებული პრობლემების გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა, ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006.*

ფუტკარაძე თ. (2006). *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები,* "ბათუმის უნივერსიტეტი".

Barth, F. (1969). Ethnic Groups and Boundaries: The Social Organization of Culture Difference. Boston.

Berry, J. W. (1997). Immigration, acculturation, and adaptation. *International Association of Applied Psychology*, https://is.muni.cz/el/fss/podzim2016/ZUR393i/um/W_2_Acculturation.pdf

Halbwachs., M. (1992). *On Collective Memory.* Chicago: The University of Chicago Press.

REFERENCES

Futkaradze, T. (2006). *Acharis mosakhleobis migratsiis istoriul-etnologiuri problemebi*. Batumi: Batumis universiteti.

Ivelashvili, T. (2019). *Religiuri umciresobebi Samtskhe-Javakhetshi*. Tbilisi: Universali.

Lyle, J. (2012). *Ekomigrant'ebis gansakhleba Sakartveloshi: Gansakhlebis politikashi mimdinare cvlilebebi, tendenciebi, ganxorcieleba da aghkmebi* (Working Paper No. 53). Flensburg: European Centre for Minority Issues (ECMI).

Trier, T., & Turashvili, M. (2007). *Ekologiuri mizezebit adgilmonačvle pirt'a gansakhleba: Arsebuli problemebis gadatsqveta tu akhlis shekmna? Ekomigracia Sakartveloshi 1981–2006*. Flensburg: European Centre for Minority Issues (ECMI).

Author's field materials, Tsalka municipality, 2025.